სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფ. ბოდბის გზის 9.2 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია

გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის ანგარიში
და
გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა

მსოფლიო ბანკის დაფინანსებით

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტის (SRMIDP) დამატებითი დაფინანსება (AF)

2022 წ. ოქტომბერი

ქვე-პროექტის აღწერა

ქვე-პროექტის ფარგლებში იგეგმება სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ბოდბეში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. ქვე-პროექტის ტერიტორიასთან მისვლა შესაძლებელია კახეთის ავტომაგისტრალით; მანძილი თბილისიდან: 109 კმ. სარეაბილიტაციო ტერიტორია სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია.

ქვე-პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ბოდბის გზის რეაბილიტაცია. სარეაბილიტაციო მონაკვეთებია:

- „ბოხორის“ და „ინტერატის“ უბანი - სარეაბილიტაციო გზის საერთო სიგრძე- 1335 მ;
- ბოდბის ცენტრალური გზა - სარეაბილიტაციო გზის საერთო სიგრძე- 2662 მ;
- ზემო და ქვემო ბოდბეს დამაკავშირებელი გზა - სარეაბილიტაციო გზის საერთო სიგრძე 3379 მ;
- გონთახევის უბანი - სარეაბილიტაციო გზის საერთო სიგრძე -1813 მ.

არსებული გზის მდგომარეობის შესწავლა-გაანალიზების შემდგომ, პროექტირებისას მიღებულია შემდეგი ძირითადი პარამეტრები:

- საანგარიშო სიჩქარე - 30 კმ/სთ;
- სავალი ნაწილის სიგანე - 5.0 – 6 მ.
- მიწის ვაკისის სიგანე- ცვალებადია არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

გზის პროექტირების პროცესში მოხდა შემდეგი სტანდარტის გამოყენება: საქართველოს სახელმწიფო სტანდარტი (სსტ) 72-2009: *გზების გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები.* რეაბილიტაცია არ გამოიწვევს საგზაო ღერძის ცვლილებას. შესაბამისად, სავალი ნაწილის არსებული პარამეტრები დარჩება უცვლელი.

პროექტით გათვალისწინებულია სავალი ნაწილისა და ტროტუარების სრული რეაბილიტაცია, ასევე რეაბილიტირდება მიერთებები და ეზოში შესასვლელები. ეზოში შესასვლელები გადაიხურება ლითონის ცხაურით, პროექტით ასევე გათვალისწინებულია რკინა-ბეტონის კიუვეტების მოწყობა.

ქვე-პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ასფალტბეტონის საფარის მოწყობა.

სამოსის კონსტრუქცია სავალი ნაწილსა და მიერთებებზე:

- საფუძვლის ქვდა ფენა – ქვიშა-ხრეშოვანი (0-120მმ.) ნარევი, სისქით 25სმ;
- საფუძვლის ზედა ფენა – ფრაქციული ღორღი (0-40მმ), სისქით 15 სმ;
- საფარის ქვედა ფენა - მსხვილმარცვლოვანი ასფალტბეტონით სისქით 6სმ;
- საფარის ზედა ფენა - წვრილმარცვლოვანი ასფალტბეტონით სისქით 4სმ;

სამოსის კონსტრუქცია ეზოში შესასვლელებზე:

- ქვესაგები ფენა - ქვიშა-ხრეშოვანი (0-70მმ.) ნარევი, სისქით 15სმ;
- საფუძვლის ფენა – ფრაქციული ღორღი (0-40მმ), სისქით 15 სმ;
- საფარის ფენა - წვრილმარცვლოვანი ასფალტბეტონით სისქით 5სმ;

პროექტის ფარგლებში მოსალოდნელია 42$მ^3$ აზბესტის მილის წარმოქმნა.

სარეაბილიტაციო გზის მცირე მონაკვეთი გადის სახელმწიფო ტყეზე. მიმდინარეობს პროცედურები, სახელმწიფო ტყით სპეციალური სარგებლობისთვის საჭირო ნებართვის მისაღებად. საკადასტრო ნახაზები, ინფორმაცია ქვე-პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ, ასევე სამუშაოების წარმოებისთვის განსაზღვრულ მიწის ნაკვეთზე ხეების (ხეების არსებობის შემთხვევაში) ინვენტარიზაცია წარედგინება ეროვნულ სატყეო სააგენტოს, სპეციალური ნებართვის მისაღებად, თუმცა სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების პროცესში ხეების ჭრის საჭიროება არ იქნება.

გარემოსდაცვითი სკრინინგი

(ა) ზემოქმედების შეფასება

აქვს თუ არა ქვე-პროექტს საგრძნობი ზემოქმედება გარემოზე?	ქვე-პროექტს ექნება მცირე მოკლევადიანი ზემოქმედება გარემოზე. გზის რეაბილიტაცია მოახდენს დადებით ზემოქმედებას მეზობელ თემებზე ექსპლოატაციის პერიოდში, რადგან გზის გაუმჯობესებულ ზედაპირზე სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა გამოიწვევს ნაკლებ გამონაბოლქვსა და ხმაურს. ძირითადი უარყოფითი გავლენა დაკავშირებულია სამშენებლო ფაზასთან და მოიცავს გზის ვაკისის მოწყობას და გამაგრებითი სამუშაოების განხორციელებას, რაც დაკავშირებულია მძიმე ტექნიკის მოძრაობასთან და მუშაობასთან. ობიექტი მოდიფიცირებულ გარემოში მდებარეობს, შესაბამისად, უარყოფითი ზემოქმედება (ხმაური, ემისიები, სამშენებლო ნარჩენები, მოძრაობის და მისასვლელის დროებითი შეზღუდვა) იქნება გარდამავალი და უმნიშვნელო.
რა მნიშვნელოვანი სასარგებლო და უარყოფითი ხასიათის ზემოქმედებები ექნება ქვე-პროექტს გარემოზე?	მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე მოსალოდნელი არ არის. გარემოზე ძირითად ზემოქმედებას ადგილი ექნება მშენებლობის ფაზაში. აღნიშნული ზემოქმედება სავარაუდოდ იქნება მოკლე ვადიანი, რაც ტიპურია მცირე და საშუალო მასშტაბის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის ურბანულ ლანდშაფტში: სამშენებლო მექანიზმების მუშაობით გამოწვეული ხმაური, მტვერი, ვიბრაცია და გამონაბოლქვი; სამშენებლო ნარჩენების

	წარმოქმნა; სატრანსპორტო მოძრაობის და ფეხით მოსიარულეთათვის მისასვლელების შეზღუდვა, წყლის დაბინძურების ინციდენტები, მაგ. საწვავის, ზეთის, ან სამშენებლო მასალების დაღვრა, სატრანსპორტო საშუალებების და აღჭურვილობის გარეცხვა, დაბინძურებული მიწის ექსპოზიცია. ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პროფესიული რისკები და გარემოს დაბინძურების რისკი დაკავშირებულია აზბესტის შემცველი მილების მოხსნასთან. ქვე-პროექტის განხორციელების შედეგად შემცირდება გზის მოვლა-პატრონობის ხარჯები და შესაბამისად, შემცირდება სახიფათო გამონაბოლქვიც. დაიწევს საწვავის მოხმარების მაჩვენებელიც. სამშენებლო მასალების და წარმოქმნილი ნარჩენების ტრანსპორტირება გამოიწვევს გზის უმნიშვნელოდ გადატვირთვას, სამუშაოების განხორციელების პროცესში. მოსახლეობის ჯანმრთელობის და უსაფრთხოების საკითხი მნიშვნელოვანი იქნება სამშენებლო ფაზის წარმოებისას, რადგან საცხოვრებელი შენობები საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არის განთავსებული. სამშენებლო ფაზის განმავლობაში მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება მოკლე-ვადიანი და არ გამოიწვევს არსებული პირობების გაუარესებას. ზემოქმედება მცენარეულობაზე სამშენებლო ფაზის განმავლობაში, იქნება უმნიშვნელო ხასიათის. ტექნიკური პროექტის თანახმად, საპროექტო ტერიტორიებზე ხეების მოჭრა არ იგეგმება.
შეიძლება თუ არა, რომ ქვე-პროექტს გააჩნდეს მნიშვნელოვანი ხასიათის ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობასა და ზემოქმედების ქვეშ მყოფ სხვა პირებზე?	ქვე-პროექტს ექნება ხანგრძლივი დადებითი სოციალური ზემოქმედება როგორც ადგილობრივ მოსახლეობაზე, ასევე ვიზიტორებზე - სატრანსპორტო და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებით. გზის რეაბილიტაციის შედეგად შემცირდება არსებული უარყოფითი ზემოქმედება, როგორიცაა მტვერი, ემისიები და ხმაური. ქვე-პროექტის განხორციელების ფარგლებში მიწის შეძენა, განსახლება და დროებითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

	გრძელვადიანი სოციალური ზემოქმედება იქნება დადებითი, მშენებლობის დროს შეიქმნება დროებითი სამუშაო ადგილები და შესაბამისად გაიზრდება ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავალი.

(ბ) შემამსუბუქებელი ზომები

რა ალტერნატივები იქნა განხილული დაპროექტებისას	გამომდინარე იქიდან, რომ ქვე-პროექტი ითვალისწინებს არსებული გზის რეაბილიტაციას, სხვა ალტერნატივა ქვე-პროექტის ტექნიკურ პროექტთან დაკავშირებით არ განხილულა.
ზემოქმედების შერბილების რა ღონისძიებებია გათვალისწინებული?	გზის რეაბილიტაციის ფაზაში მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედებების შემცირება ადვილად შესაძლებელია. კონტრაქტორი პასუხისმგებელი იქნება, რომ ნარჩენები განათავსოს შეთანხმებულ ადგილას, გამოიყენოს მხოლოდ ლიცენზირებული კარიერებიდან მოპოვებული ინერტული მასალა, თავიდან აიცილოს წყლისა და ნიადაგის დაბინძურება (საწვავის/ზეთების დაღვრა სატრანსპორტო საშუალებებისა და მექანიზმების გაუმართაობის გამო, ასფალტისა და ბეტონის ნარჩენებით დაბინძურება), მოსახლეობის შეწუხება (ხმაურით, მტვერით და ემისიებით) შერბილდება მუშაობის/მასალების მიწოდების განრიგის დაცვის გზით, მოძრაობის მართვით, სამშენებლო მექანიზმების შესაბამისი მოვლით. სამუშაოები არ უნდა განხორციელდეს წვიმიან ამინდში, სამშენებლო მასალები არ უნდა მოხდეს წყლის არცერთ ნაკადში, აუცილებელია სატრანსპორტო საშუალებების/მექანიზმების შემოწმება, რათა დადგინდეს, რომ არ ხდება საწვავის და საპოხი მასალების დაღვრა; ყველა მექანიზმის მოვლა-პატრონობა და მუშაობა უნდა განხორციელდეს ისე, რომ მასალების დაღვრები მინიმუმამდე იყოს შემცირებული; კონტრაქტორი ვალდებულია, რომ ორგანიზება გაუკეთოს და გადახუროს მასალის სასაწყობე ტერიტორიები. მასალის სასაწყობე ადგილი დაცული უნდა იყოს ძლიერი წვიმებისა და დატბორვისაგან, წყალგაუმტარი მასალისგან დამზადებული გადახურვით; მანქანების ტექნიკური მომსახურების პუნქტები არ უნდა განთავსდეს წყლის ნაკადიდან 50 მეტრში. ქვე-პროექტის განხორციელების პერიოდში მოხდება გამაფრთხილებელი ნიშნების დადგმა და სატრანსპორტო

	მოძრაობის მართვა, სამუშაოების წარმოების ტერიტორიების გარშემო. მილების დემონტაჟის შედეგად წარმოქმნილი აზბესტის შემცველი ნარჩენების განკარგვა საჭიროებს დიდ ყურადღებას, რათა არ მოხდეს პერსონალის და მეზობელი თემების ჯანმრთელობის დაზიანება, მათი უსაფრთხოების დარღვევა და გარემოს დაბინძურება. შემარბილებელი ღონისძიებების ფარგლებში უნდა მოხდეს პირადი დამცავი აღჭურვილობის დისციპლინირებული გამოყენება, სამუშაოების წარმოების ტერიტორიის მორწყვა, სახიფათო ნარჩენების განცალკევება/უსაფრთხო განთავსება შესაბამის ტერიტორიაზე და დროული გატანა განსაზღვრულ და საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის მოქმედ ნაგავსაყრელზე. ადგილობრივი მოსახლეობა გაფრთხილებული იქნება აზბესტის შემცველი მასალის ხელახალ გამოყენებასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის რისკების შესახებ და მათი თანხმობა აღნიშნული მასალის გატანის თაობაზე იქნება დაცული. საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და უსაფრთხოება მშენებლობის წარმოების პროცესში მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, რადგან საცხოვრებელი სახლები ქვე-პროექტის სიახლოვესაა განლაგებული. კონტრაქტორის პასუხისმგებლობას წარმოადგენს კონკრეტული ღონისძიებების გატარება ადგილობრივებზე ზემოქმედების შესარბილებლად; აღნიშნული მოიცავს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობის ინფორმირებას მოსალოდნელი სამუშაოებისა და მუნიციპალური სერვისების დროებითი შეზღუდვების შესახებ, მსგავსი შეზღუდვების არსებობის შემთხვევაში; უნდა მოხდეს ასევე სამუშაო საათების შეზღუდვა დღის განმავლობაში, სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების მოძრაობის სიჩქარის შეზღუდვა, ხმაურის და მტვრის ემისიების მინიმუმამდე დაყვანა და სხვ. კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს სარეაბილიტაციო გზის გასწვრივ არსებულ სახლებთან და ბიზნეს ობიექტებთან უსაფრთხო მისასვლელი ფეხით მოსიარულეთათვის და ადამიანების/ცხოველების ამოთხრილ ორმოებში, თხრილებში და ღრმულებში შემთხვევითი ჩავარდნისაგან დაცვა; კონტრაქტორმა სამუშაოები უნდა აწარმოოს სიფრთხილით, რათა არ მოხდეს სარეაბილიტაციო გზის გასწვრივ არსებული ღობეებისა და სხვა კერძო საკუთრების დაზიანება.

	სახიფათო ნარჩენების შეგროვება და დროებითი განთავსება მოხდება წინასწარ შერჩეულ, შეთანხმებულ ტერიტორიაზე, მოქმედი მოთხოვნების გათვალისწინებით, რათა მოხდეს სახიფათო ნარჩენების სხვა სახის ნარჩენებთან შერევის პრევენცია და აზბესტის შემცველი მასალისაგან გამოწვეული მტვრის მინიმიზაცია. აზბესტის შემცველ ნარჩენებთან მომუშავე პერსონალს ჩაუტარდება სპეციალური ტრენინგი, პროფესიული ჯანმრთელობის და უსაფრთხოების საკითხებზე; ისინი მიიღებენ და ატარებენ პერსონალური დაცვის აღჭურვილობას, რათა თავიდან იქნას აცილებული აზბესტის შემცველი მასალის შეშხეფება და არა-საჭირო ფრაგმენტაცია, ზედმეტი მტვრის ემისიის პრევენციისთვის.
წარსულში განხორციელებული მსგავსი პროექტებიდან მიღებული რა გამოცდილება იქნა გათვალისწინებული ქვე-პროექტის დიზაინში?	სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს“ (მგფ) ფართო გამოცდილება აქვს სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული საშუალო და დიდი მასშტაბის გზებისა და ქუჩების რეაბილიტაციის ქვე-პროექტების განხორციელებაში. წინა მსგავსი პროექტების განხორციელების გამოცდილებებიდან მიღებული ცოდნის საფუძველზე, პროექტი ითვალისწინებს არა მხოლოდ გზის საფარის რეაბილიტაციას და სანიაღვრე არხების მოწყობას, რაც ხელს შეუწყობს შემდგომში გზის საფარის მოვლა-პატრონობას, არამედ ასევე დაერთებების და (ადგილობრივი) შესასვლელების მოწყობას - გზაზე. ეზოში შესასვლელები მოეწყობა მუდმივი ასფალტის საფარით.
ჩართული იყო თუ არა დაინტერესებული თემები ქვე-პროექტის მომზადების პროცესში და გათვალისწინებული იქნა თუ არა მათი ინტერესები და ცოდნა სათანადოდ?	სიღნაღის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციამ კონსულტაცია გაუწია ქალაქის მოსახლეობას, რომელთა ინტერესი გათვალისწინებულ იქნა ქვე-პროექტის მომზადების პროცესში. მოცემული ქვე-პროექტის წარმოდგენილი დოკუმენტის (ESMP) პროექტი ხელმისაწვდომი გახდება ბენეფიციარებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის და განიხილება საკონსულტაციო შეხვედრისას. ინფორმაცია საჯარო საკონსულტაციო შეხვედრის შესახებ გამოცხადდება როგორც მგფ-ის, ასევე სიღნაღის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდებზე, ასევე განთავსდება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის შენობის საინფორმაციო დაფებზე.

	საჯარო განხილვას დაესწრება ადგილობრივი თემების და სიღნაღის მერიის წარმომადგენლები. ინფორმაცია საჯარო საკონსულტაციო შეხვედრის ზუსტი დროისა და ადგილის შესახებ, მინიმუმ 10 დღით ადრე გამოცხადდება. კოვიდის, ან სხვა ინფექციური დაავადების გავრცელების გამო "ლოკდაუნის" (დროებითი ჩაკეტვის) შემოღებამ შესაძლოა გამოიწვიოს კონსულტაციის ვირტუალურად ჩატარების საჭიროება; კონსულტაციასთან დაკავშირებული დეტალები დაზუსტდება შესაბამის დროს.

(გ) კატეგორიზაცია და დასკვნა

გარემოსდაცვითი სკრინინგის დასკვნა:

1. ქვე-პროექტი უარყოფილია ☐
2. ქვე-პროექტი მიღებულია ■

ქვე-პროექტის მომზადება მოითხოვს:

1. მცირემასშტაბიანი სამშენებლო და სარეაბილიტაციო საქმიანობების გარემოსდაცვითი ღონისძიებების საკონტროლო სიის შევსებას ■

2. გარემოზე ზეგავლენის განხილვას, გარემოსდაცვითი მართვის გეგმის მომზადების ჩათვლით ☐

ქვე-პროექტის სოციალური და კულტურულ რესურსებზე ზემოქმედების სკრინინგი

	ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების სკრინინგისათვის	დიახ	არა
1	არის თუ არა ინფორმაცია ქვე-პროექტის ობიექტების მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ ხელმისაწვდომი და სარწმუნო? (სკრინინგი არ ჩაითვლება დასრულებულად თუ აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი)	X	
2	ქვე-პროექტის განხორციელება შეზღუდავს თუ არა მოსახლეობის ხელმისაწვდომობას სამეურნეო რესურსებზე, როგორიცაა მიწა, საძოვრები, წყალი, კომუნალური სამსახურები ან სხვა რესურსები, რაზეც მოსახლეობაა დამოკიდებული?		X
3	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება ცალკეული ინდივიდების ან ოჯახების ადგილმონაცვლეობას ან იქნება თუ არა საჭირო მიწის ნაკვეთის შეძენა (სახელმწიფო ან კერძო, დროებით ან მუდმივად) ?		X
4	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მოსავლის, ხეხილის და სამეურნეო ინფრასტრუქტურის (დამხმარე ნაგებობები, ღობე, არხი, ბეღელი, გარე ტუალეტები, სამზარეულოები და სხვა) დროებით ან მუდმივ დაკარგვას?		X
თუ რომელიმე შეკითხვაზე (გარდა პირველი შეკითხვისა) პასუხი არის „დიახ“, მაშინ უნდა ამოქმედდეს OP/BP 4.12 საოპერაციო პოლიტიკა იძულებით განსახლების შესახებ, შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განისაზღვროს OP/BP 4.12-ისა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით.			
	ინფორმაცია კულტურული რესურსების უსაფრთხოების სკრინინგისათვის	**დიახ**	**არა**
5	საჭიროებს თუ არა პროექტი მიწის სამუშაოებს ისტორიული, არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სიახლოვეს?		X
თუკი პასუხი კითხვაზე 5 არის „დიახ“, მაშინ გამოყენებული უნდა იქნას **OP/BP 4.11 ფიზიკური კულტურული რესურსები** და შემთხვევით მოპოვებული მასალების მართვა უნდა განხორციელდეს OP/BP-სა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტში მოცემული პროცედურების შესაბამისად.			

გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა

ნაწილი A: ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და საპროექტო ტერიტორიის შესახებ

ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული საკითხები	
ქვეყანა	საქართველო
პროექტის დასახელება	რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი (SRMIDP-AF)
ქვე-პროექტის დასახელება	გზის 9.2 კმ მონაკვეთის რეაბილიტაცია სიღნაღის მუნიციპალიტეტში
ქმედებების მოცულობა ქვე-პროექტის ფარგლებში	ქვე-პროექტის ფარგლებში იგეგმება სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ბოდბეში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. ქვე-პროექტის ტერიტორიასთან მისვლა შესაძლებელია კახეთის ავტომაგისტრალით; მანძილი თბილისიდან: 109 კმ. სარეაბილიტაციო ტერიტორია სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია. ქვე-პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ბოდბის გზის რეაბილიტაცია. სარეაბილიტაციო მონაკვეთებია: „ბოხორის“ და „ინტერატის“ უბანი - სარეაბილიტაციო გზის საერთო სიგრძე- 1335 მ; ბოდბის ცენტრალური გზა - სარეაბილიტაციო გზის საერთო სიგრძე- 2662 მ; ზემო და ქვემო ბოდბეს დამაკავშირებელი გზა - სარეაბილიტაციო გზის საერთო სიგრძე 3379 მ; გონთახევის უბანი - სარეაბილიტაციო გზის საერთო სიგრძე -1813 მ. არსებული გზის მდგომარეობის შესწავლა-გაანალიზების შემდგომ, პროექტირებისას მიღებულია შემდეგი ძირითადი პარამეტრები: საანგარიშო სიჩქარე - 30 კმ/სთ; სავალი ნაწილის სიგანე - 5.0 – 6 მ. მიწის ვაკისის სიგანე- ცვალებადია არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

	გზის პროექტირების პროცესში მოხდა შემდეგი სტანდარტის გამოყენება: საქართველოს სახელმწიფო სტანდარტი (სსტ) 72-2009: *გზების გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები.* რეაბილიტაცია არ გამოიწვევს საგზაო ღერძის ცვლილებას. შესაბამისად, სავალი ნაწილის არსებული პარამეტრები დარჩება უცვლელი. პროექტით გათვალისწინებულია სავალი ნაწილისა და ტროტუარების სრული რეაბილიტაცია, ასევე რეაბილიტირდება მიერთებები და ეზოში შესასვლელები. ეზოში შესასვლელები გადაიხურება ლითონის ცხაურით, პროექტით ასევე გათვალისწინებულია რკინა-ბეტონის კიუვეტების მოწყობა. ქვე-პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ასფალტბეტონის საფარის მოწყობა. სამოსის კონსტრუქცია სავალი ნაწილსა და მიერთებებზე: საფუძვლის ქვდა ფენა – ქვიშა-ხრეშოვანი (0-120მმ.) ნარევი, სისქით 25სმ; საფუძვლის ზედა ფენა – ფრაქციული ღორღი (0-40მმ), სისქით 15 სმ; საფარის ქვედა ფენა - მსხვილმარცვლოვანი ასფალტბეტონით სისქით 6სმ; საფარის ზედა ფენა - წვრილმარცვლოვანი ასფალტბეტონით სისქით 4სმ; სამოსის კონსტრუქცია ეზოში შესასვლელებზე: ქვესაგები ფენა - ქვიშა-ხრეშოვანი (0-70მმ.) ნარევი, სისქით 15სმ; საფუძვლის ფენა – ფრაქციული ღორღი (0-40მმ), სისქით 15 სმ; საფარის ფენა - წვრილმარცვლოვანი ასფალტბეტონით სისქით 5სმ; პროექტის ფარგლებში მოსალოდნელია 42$მ^3$ აზბესტის მილის წარმოქმნა. სარეაბილიტაციო გზის მცირე მონაკვეთი გადის სახელმწიფო ტყეზე. მიმდინარეობს პროცედურები, სახელმწიფო ტყით სპეციალური სარგებლობისთვის საჭირო ნებართვის მისაღებად. საკადასტრო ნახაზები, ინფორმაცია ქვე-პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ, ასევე სამუშაოების წარმოებისთვის განსაზღვრულ მიწის ნაკვეთზე ხეების (ხეების არსებობის შემთხვევაში) ინვენტარიზაცია წარედგინება ეროვნულ

	სატყეო სააგენტოს, სპეციალური ნებართვის მისაღებად, თუმცა სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების პროცესში ხეების ჭრის საჭიროება არ იქნება.		
ინსტიტუციონალური ორგანიზება (მსოფლიო ბანკი)	სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი: აქსელ ბაიომლერი (Axel Baeumler)	გარემოს დაცვის და უსაფრთხოების სპეციალისტები დარეჯან კაპანაძე - *გარემოს დაცვა* დავით ჯიჯელავა - *სოციალური საკითხები*	
განხორციელების ორგანიზება (მსესხებელი)	განმახორციელებელი ერთეული: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	სამუშაოთა ზედამხედველი: კომპანია „ეპტისა“, ესპანეთი (Company Eptisa Servicios de Ingenieria S.L. Spain)	სამუშაოთა კონტრაქტორი: (----------)
ადგილმდებარეობის აღწერა			
ინსტიტუტის დასახელება, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი	სიღნაღის მუნიციპალიტეტი		
ინსტიტუტის მისამართი, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი	სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია აღმაშენებლის გამზ. №2, სიღნაღი, საქართველო		
ვინ არის მიწის ნაკვეთის მფლობელი? ვინ არის მოსარგებლე (ოფიციალურად/არაოფიციალურად)	სიღნაღის მუნიციპალიტეტი		
ფიზიკური და ბუნებრივი გარემო, ობიექტის გარშემო არსებული სოციო-ეკონომიკური კონტექსტი	სიღნაღის მუნიციპალიტეტი აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის რეგიონში მდებარეობს. მისი ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი სიღნაღი. მუნიციპალიტეტს ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით გურჯაანი და საგარეჯო ესაზღვრება, სამხრეთ-აღმოსავლეთით - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით - ლაგოდეხის		

	მუნიციპალიტეტი და ჩრდილო-აღმოსავლეთით - აზერბაიჯანის რესპუბლიკა. უმაღლესი მთა გომბორის ქედზე ჭოპორტის მუნიციპალიტეტში მდებარეობს (1087 მ). მუნიციპალიტეტი შედგება სიღნაღის და წნორის დამოუკიდებელი ქალაქებისა და 12 მუნიციპალიტეტისგან. სიღნაღში ჰიდროგრაფიული ქსელი არ არის. პერიოდულად გვხვდება მდინარეები. ორი ძირითადი მდინარეა: ალაზანი და იორი. მდინარე იორის სანაპიროზე ჭალის ტყეებია: წნორი, ჭალის ვერხვი, იალღუნი და სხვ. გომბორის ქედის ტყეებში გვხვდება მუხა და რცხილა. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რამდენიმე ტიპის კლიმატს ვხვდებით. ალაზნის ველზე ზომიერად ნოტიო კლიმატია, სადაც ზამთარი ზომიერად ცივი, ზაფხული კი - ცხელია. გომბორის ქედზე აღინიშნება ზომიერად ნოტიო და ზომიერად თბილი კლიმატი - ცივი ზამთრით და გრძელი და თბილი ზაფხულით. საშუალო წლიური ტემპერატურა მერყეობს 11.1 ° C-დან 12.6 ° C-მდე. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ოცი მოქმედი საჯარო სკოლაა, საიდანაც ერთი ქალაქ სიღნაღში მდებარეობს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ასევე 3 არა-სახელმწიფო (კერძო) საგანმანათლებლო დაწესებულება, საიდანაც 2 ქალაქ სიღნაღში მდებარეობს: შპს „ინტელექტი“ და შპს „ეტალონი 2015“.
მასალების, მათ შორის შემავსებლების, განსაკუთრებით, წყლის და ქვების მიწოდების წყაროების მდებარეობა და დაშორება ქვე-პროექტის განხორციელების ადგილიდან	უახლოესი ნაგავსაყრელი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მდებარეობს, მანძილი ქვე-პროექტის ტერიტორიიდან (ობიექტიდან): 50 კმ. მანძილი უახლოეს ლიცენზირებულ კარიერამდე დაახლოებით 30 კმ-ია, (კარიერი) გურჯაანის მუნიციპალიტეტში მდებარეობს - მდ. ჭერმისხევზე. უახლოესი წყლის ობიექტი მდინარე ალაზანია, მანძილი ქვე-პროექტის ტერიტორიიდან 16 კმ-ს შეადგენს.
კანონმდებლობა	
ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობა და ქვე-პროექტის	მსოფლიო ბანკის პოლიტიკისა და მოცემული პროექტის (SRMIDP) ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო

განხორციელებისათვის საჭირო ნებართვები	დოკუმენტის თანახმად, ქვე-პროექტი კლასიფიცირდა, როგორც დაბალი რისკის - „B“ კატეგორიის პროექტი. საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობა არ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, დამტკიცებას ან ნებართვას, თუმცა: - სამშენებლო მასალების შეძენა უნდა მოხდეს ლიცენზირებული მომწოდებლისაგან; - კონტრაქტორი ვალდებულია აიღოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია ინერტული მასალის მოპოვებისათვის (თუ თავად გადაწყვეტს მოპოვებას, ნაცვლად შეძენისა); - კონტრაქტორმა უნდა მიიღოს გარემოსდაცვითი ნებართვა გამონაბოლქვში დამაბინძურებელი კონცენტრაციის მაქსიმალური ზღვრის დადგენის ასახვით და მოამზადოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში და შეათანხმოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, თუ ასფალტს, ან ცემენტო-ბეტონს აწარმოებს თავად (ნაცვლად შეძენისა სხვა მომწოდებლებისაგან); - მიწის სამუშაოების პროცესში წარმოქმნილი ინერტული მასალის (მოჭრილი მიწა და ნატანი გრუნტი) მუდმივი განთავსების ადგილი წერილობით უნდა შეთანხმდეს ადგილობრივ (მუნიციპალურ) გამგეობასთან; - აზბესტის მილების დემონტაჟი მოხდება სტანდარტული უსაფრთხოების წესების დაცვით და მათი განთავსება მოხდება უახლოეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, მოქმედი ნორმების და კანონების (მთავრობის 2016 წ. 29 მარტის ბრძანება №145) და საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად; - იმ შემთხვევაში თუ ყოველწლიურად კონტრაქტორის საქმიანობის შედეგად წარმოიქმნება 120 კგ-ზე მეტი სახიფათო ნარჩენები, ან 200 ტონაზე მეტი არა-სახიფათო ნარჩენი, ან 1000 ტონაზე მეტი ინერტული მასალა, კონტრაქტორი ვალდებულია მოამზადოს ნარჩენების ინვენტარიზაცია და ნარჩენების მართვის გეგმა და შეათანხმოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, დანიშნოს გარემოს დაცვის მენეჯერი და მის შესახებ ინფორმაცია წარუდგინოს საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს ნარჩენების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად;

	- სავალდებულოა სახელმწიფო სტანდარტების (GOST) და სამშენებლო ნორმების და წესების (SNIP) დაცვა.

საჩივრების მოგვარების მექანიზმი

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების საჩივრების მოგვარების მიზნით, შეიქმნა საჩივრების მოგვარების მექანიზმი, მოთხოვნის შესაბამისად.

სიღნაღის მუნიციპალიტეტმა დანიშნა პასუხისმგებელი პირი - გიორგი ბაგანაშვილი, რომელიც მიიღებს, განიხილავს და მოახდენს რეაგირებას პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების საჩივრებზე. ტელ: 595125648; ელ. ფოსტა: gbaganashviliinfrastructure@gmail.com

მგფ-ს მხრიდან საკონტაქტო პირია ნუცა გუმბერიძე (ტელ: +995 598 88 20 19; feedback@mdf.org.ge ; მის: დ. აღმაშენებლის გამზ. #150, მე-4 სართული, 0112, თბილისი, საქართველო).

იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი ვერ მოგვარდება ადგილობრივ დონეზე, საჩივრის შემოტანა მოხდება მგფ-ში. საჩივრების მონიტორინგის მიზნით, მგფ ახდენს ყველა მიღებული საჩივრის, შენიშვნების და იმის, თუ როგორ მოხდება საჩივრის მოგვარება - რეგისტრაციას. საჯარო კონსულტაციების პროცესში, ადგილობრივ მოსახლეობას ეცნობება საჩივრების მოგვარების პროცესის შესახებ და ისინი მიიღებენ ინფორმაციას საკონტაქტო პირების თაობაზე.

საჯარო კონსულტაცია

სად და როდის ჩატარდა/ჩატარდება საჯარო კონსულტაცია?	ინფორმაცია საჯარო საკონსულტაციო შეხვედრის შესახებ გამოცხადდება როგორც მგფ-ის ოფიციალურ ვებ-გვერდებზე, ასევე განთავსდება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის შენობის საინფორმაციო დაფებზე. საჯარო განხილვას დაესწრება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის, ასევე ყველა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები. ინფორმაცია საჯარო საკონსულტაციო შეხვედრის ზუსტი დროისა და ადგილის შესახებ, გამოცხადდება მინიმუმ 10 დღით ადრე. კოვიდის, ან სხვა ინფექციური დაავადების გავრცელების გამო "ლოკდაუნის" (დროებითი ჩაკეტვის) შემოღებამ შესაძლოა გამოიწვიოს კონსულტაციის ვირტუალურად ჩატარების საჭიროება; კონსულტაციასთან დაკავშირებული დეტალების დაზუსტება მოხდება შესაბამის დროს. საჯარო საკონსულტაციო პროცესის ამსახველი ჩანაწერები დაერთვება წარმოდგენილ დოკუმენტს (გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმას (ESMP)).

დანართები
დანართი 1: ქვე-პროექტის არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტო-დოკუმენტაცია; დანართი 2: ქვე-პროექტის ნახაზები; დანართი 3: ქვე-პროექტის სიტუაციური გეგმა; დანართი 4: საჯარო საკონსულტაციო პროცესის ჩანაწერები (წარმოსადგენია) დანართი 5: შეთანხმებები/ლიცენზიები (წარმოსადგენია)

ნაწილი B: ინფორმაცია უსაფრთხოების ღონისძიებების შესახებ

გარემოს დაცვითი/ სოციალური სკრინინგი			
	აქტივობა/ საკითხი	**სტატუსი**	**გააქტიურებული აქტივობა**
მოიცავს თუ არა ადგილზე აქტივობა რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილს?	1. რეაბილიტაცია	[x] დიახ [ ] არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი **A**
	2. ახალი მშენებლობა	[ ] დიახ [x] არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი **A**
	3. ნარჩენი წყლების დამუშავების ინდივიდუალური სისტემა	[ ] დიახ [x] არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. იხ. ქვემოთ ნაწილი **B**
	4. ისტორიული შენობ(ებ)ა და რაიონები	[ ] დიახ [x] არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი **C**
	5. მიწის შეძენა[1]	[ ] დიახ [x] არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი **D**
	6. ზემოქმედება მიწის და საკუთრების გამოყენებაზე	[ ]დიახ [x] არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი E
	7. სახიფათო ან ტოქსიკური მასალები[2]	[x]დიახ [ ] არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი **F**
	8. ზემოქმედება ტყეებზე და/ან დაცულ ტერიტორიებზე	[ ]დიახ [x] არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი **G**

[1] მიწის შესყიდვა გულისხმობს ადამიანთა ადგილმონაცვლეობას, საცხოვრებელი პირობების შეცვლას, კერძო საკუთრებაში არსებული ქონების შელახვას - ეს ეხება მიწებს, რომელიც შეძენილი/გადაცემულია და ამ ქმედებას გააჩნია ზემოქმედება იმ ადამიანებზე რომლებიც ცხოვრობენ ან/და სახლობენ ან/და აწარმოებენ ბიზნესს (სავაჭრო ერთეულებს - ჯიხურებს) მიწაზე, რომლიც შეძენაც მიმდინარეობს.

[2] ტოქსიკური/ სახიფათო მასალები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება აზბესტით, ტყვიის შემცველი და სხვა ტოქსიკური საღებავებით, მავნე ზემოქმედების მქონე გამხსნელებით და ა.შ.

	9. სამედიცინო ნარჩენების დამუშავება/ მენეჯმენტი	[ ] დიახ [redacted] არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი **H**
	10. სატრანსპორტო და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	[redacted] დიახ [ ] არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი **I**
	11. საზოგადოება და შრომის ჯანდაცვა და უსაფრთხოება	[redacted] დიახ [ ] არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი **J**

ნაწილი C: ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

აქტივობა	**პარამეტრი**	**ზემოქმედების შემამცირებელი ღონისძიებების საკონტროლო ჩამონათვალი**
0. ზოგადი პირობები	შეტყობინება და მუშათა უსაფრთხოება	(a) მშენებლობისთვის, ბუნებრივი სამშენებლო მასალების მოპოვებისთვის, ნარჩენების გატანისთვის და სხვ. საკითხების შესრულებისთვის საჭირო კანონიერი ნებართვების მიღება; (b) მომუშავეთა პირადი დაცვის აღჭურვილობა (PPE) შესაბამისობაში უნდა იყოს კარგ საერთაშორისო პრაქტიკასთან (მუშაობის დროს ყოველთვის დამცავი ჩაფხუტის ტარება, და საჭიროების შემთხვევაში: ნიღბები და უსაფრთხოების ჩექმები) და უნდა განხორციელდეს კონტროლი აღნიშნული აღჭურვილობის გამოყენებაზე; (c) სამუშაო ტერიტორიებზე განლაგებული მაჩვენებლები მუშებისთვის, სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებით შესასრულებელი ძირითადი წესებისა და რეგულაციების შესახებ; (d) თითოეულ სამუშაო ტერიტორიაზე განთავსებული უნდა იყოს ინფორმაცია სამუშაოების განმახორციელებელი კომპანიის შესახებ, შესაბამის საკონტაქტო ინფორმაციასთან ერთად.
A. ზოგადი რეაბილიტაცია და / ან სამშენებლო აქტივობები	ჰაერის ხარისხი	(a) ნგრევის შედეგად მიღებული ნარჩენების შენახვა უნდა მოხდეს კონტროლირებად ტერიტორიაზე; ამასთან, ნარჩენებზე უნდა მოხდეს წყლის მოსხმა, მტვრის შესამცირებლად; (b) პნევმატური ბურღვის/ კედლების ნგრევის პროცესის შედეგად მიღებული მტვერის გავრცელება უნდა შეიზღუდოს წყლის მოსხმით და /ან ადგილზე მტვრის საწინააღმდეგო ეკრანის დამონტაჟებით; (c) მიმდებარე ტერიტორია (ტროტუარები, გზები) თავისუფალი უნდა იყოს (სამშენებლო) ნარჩენებისგან, მტვრის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით; (d) სამშენებლო მასალის/ნარჩენების ღია ტიპის წვა სამშენებლო ტერიტორიაზე არ უნდა განხორციელდეს; (e) სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებები ხანგრძლივი დროის განმავლობაში უქმად არ უნდა იყოს გაჩერებული (საპროექტო) ტერიტორიაზე.
	ხმაური	(a) სამშენებლო ხმაური უნდა შეიზღუდოს დღის სამუშაო საათებით;

		(b) ოპერირებისას გენერატორების, დახურული ჰაერის კომპრესორების და სხვა მექანიკური დანადგარების ძრავის საფარები დახურული უნდა იყოს, ამასთან, დანადგარები მაქსიმალურად შორს უნდა განთავსდეს დასახლებული ტერიტორიებიდან.
	წყლის ხარისხი	(a) ადგილზე მოხდება ეროზიისა და დანალექების საკონტროლო ღონისძიებების განხორციელება, როგორიცაა თივის შეკვრებისა და/ან შლამის მესერების დამონტაჟება, რაც ხელს შეუშლის დანალექების სამშენებლო ტერიტორიებიდან გასვლას და ახლომდებარე ნაკადებისა და მდინარეების ზედმეტ ამღვრევას; (b) სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების გარეცხვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ შესაბამისად გამოყოფილ ადგილას, სადაც წყლის ჩამონადენი არ დააბინძურებს ბუნებრივი ზედაპირის წყლის ობიექტებს.
	ნარჩენების მართვა	(a) წარმოქმნილი ნარჩენების მოცულობის მინიმუმამდე დაყვანა, შესაძლებლობის ფარგლებში; (b) წარმოქმნილი ნარჩენების სხვადასხვა ტიპების განცალკევება და ნარჩენების შესაბამისი სახეობების ხელახალი გამოყენება, რამდენადაც ეს იქნება შესაძლებელი; (c) ნარჩენების სხვადასხვა ტიპებისთვის დროებითი განთავსების ადგილების გამოყოფა. დაუშვებელია საპროექტო ტერიტორიაზე ნარჩენების ზედმეტი მოცულობების აკუმულაცია; (d) საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადაყრის და ზედმეტი მასალის (ინერტული სამშენებლო მასალა) საბოლოო განთავსების მიზნით ოფიციალური ნებართვების მიღება მუნიციპალური უწყებებიდან; (e) სახიფათო ნარჩენების, ან ლიცენზირებული კომპანიებისთვის აღნიშნული ნარჩენების გადაცემის საკითხის დროული გადაწყვეტა.
	მასალების მიწოდება	(f) მასალები შეძენილი უნდა იქნეს იმ არსებული საწარმოებისა და კარიერებისაგან, რომელთაც გააჩნიათ სათანადო ოფიციალური ნებართვა, ან მოქმედი ლიცენზია საქმიანობის განსახორციელებლად; (g) მოპოვებული უნდა იქნეს შესაბამისი ლიცენზია, თუ საჭიროა ახალი კარიერის გახსნა; (h) კარიერების ტერიტორიების გამოყენებული მონაკვეთების აღდგენა, ექსტრაქციის (მოპოვების) გაგრძელების შემთხვევაში, ან მათი სათანადოდ დახურვა, ექსტრაქციის (მოპოვების) დასრულების და ლიცენზიის ვადის ამოწურვის შემთხვევაში; (i) მასალების გადაზიდვა არ უნდა მოხდეს პიკის საათებში;

		(j) სიჩქარის მარეგულირებელი, მიმართულების შეცვლის აღმნიშვნელი და გამაფრთხილებელი ნიშნების უზრუნველყოფა სატრანსპორტო საშუალებებისთვის - საჭიროების შესაბამისად.
I. ტრანსპორტის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	სამშენებლო საქმიანობის სახიფათო პირდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედება საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და ფეხით მოსიარულეებზე	ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამშენებლო ტერიტორიის შესაბამისი დაცვა და მშენებლობასთან დაკავშირებული ტრანსპორტის ოპერირების რეგულირება. აღნიშნული მოიცავს, მაგრამ არ არის შეზღუდული შემდეგით: (a) სანიშნეები, გამაფრთხილებელი ნიშნები, ბარიერები და ტრანსპორტის მარშრუტის ცვლილების ნიშნები: ტერიტორია ხილვადია და საზოგადოება გაფრთხილებულია ყველა შესაძლო საშიშროების შესახებ; (b) ტრანსპორტის მენეჯმენტის სისტემა და თანამშრომელთა ტრეინინგი, განსაკუთრებით ტერიტორიაზე წვდომასა და ტერიტორიის მახლობლად მძიმე ტექნიკის გადაადგილების შესახებ. უსაფრთხო გადასასვლელების და გადაკვეთების მოწყობა ფეხით მოსიარულეთათვის იმ ადგილებში, სადაც სამშენებლო ტექნიკა მოძრაობს; (c) სამუშაო საათების ადგილობრივი ტრანსპორტის მოძრაობის განრიგთან შესაბამისობაში მოყვანა, მაგ: მნიშვნელოვანი ხასიათის სატრანსპორტო აქტივობები არ განხორციელდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის მაღალი აქტივობის პერიოდებში (ე.წ. პიკი საათის დროს), ან მსხვილფეხა პირუტყვის გადაადგილების საათებში; (d) ტრანსპორტის აქტიური ტრენინგის შესაბამისად მომზადებული და აქტიური თანამშრომლების მიერ, საჭიროების შემთხვევაში, მათი ჩართვა ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების მართვის პროცესში; (e) სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობისას, თუკი შენობები არ იხურება საზოგადოებისათვის, ოფისის შენობებთან, მაღაზიებთან და საცხოვრებელ შენობებთან უსაფრთხო და უწყვეტი მისვლის უზრუნველყოფა.
F. სახიფათო ან ტოქსიკური მასალები	აზბესტის მართვა	(a) თუ აზბესტი განთავსებულია საპროექტო ტერიტორიაზე, გარკვევით უნდა იქნას მითითებული - სახიფათო მასალა; (b) შესაძლებლობის ფარგლებში უნდა მოხდეს აზბესტის სათანადოდ შენახვა და დალუქვა, ექსპოზიციის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით; (c) მოხსნამდე, აზბესტი (თუ აზბესტის მოხსნა აუცილებლობას წარმოადგენს) უნდა დამუშავდეს დამატენიანებელი საშუალებით, აზბესტის მტვრის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით;

		(d) აზბესტის განკარგვა და განთავსება უნდა მოხდეს გამოცდილი და შესაბამისი უნარების მქონე პროფესიონალების მიერ; (e) თუ აზბესტის მასალა დროებით არის შენახული, ნარჩენები უსაფრთხოდ უნდა იქნას მოთავსებული დახურულ კონტეინერებში და კონტეინერებზე უნდა მოხდეს შესაბამისი ნიშნების დატანა. უნდა მოხდეს უსაფრთხოების ზომების გატარება, ტერიტორიიდან აზბესტის შემცველი ნარჩენების არა-ავტორიზებული გატანის საწინააღმდეგოდ; (f) დაუშვებელია მოხსნილი აზბესტის ხელახალი გამოყენება.
	ტოქსიკური/სახიფათო ნარჩენების მართვა	(a) ყველა სახიფათო, ან ტოქსიკური ნივთიერების დროებითი შენახვა საპროექტო ტერიტორიაზე მოხდება უსაფრთხო და შესაბამისი ეტიკეტების მქონე კონტეინერებში; ეტიკეტებზე აღნიშნული იქნება ინფორმაცია შემადგენლობის, მახასიათებლებისა და შესაბამისი განკარგვის შესახებ; (b) სახიფათო ნივთიერებების კონტეინერები უნდა მოთავსდეს გაჟონვა გამძლე (ჰერმეტულ) კონტეინერში, გაჟონვისა და გამოტუტვის თავიდან აცილების მიზნით; (c) ნარჩენების ტრანსპორტირება უნდა მოხდეს სპეციალური ლიცენზიის მქონე გადამზიდავი სატრანსპორტო საშუალებებით და გადაყრა უნდა მოხდეს ლიცენზირებულ ობიექტზე; (d) არ უნდა მოხდეს ტოქსიკური ნივთიერებების შემცველი საღებავების, გამხსნელების, ან ტყვიის შემცველი საღებავების გამოყენება.
J. საზოგადოების და შრომის ჯანდაცვა და უსაფრთხოება	საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვა	(a) კონტრაქტორის ჯგუფში გამოყავით პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და მათი თხოვნების/საჩივრების მიღებაზე; (b) გაიარეთ კონსულტაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან, სამუშაოების განმახორციელებლებსა (დაქირავებულ სამუშაო ძალასა) და ადგილობრივ მოსახლეობას შორის შესაძლო კონფლიქტების გამოვლენის და შესაბამისად მართვის მიზნით; (c) მოახდინეთ ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, სამუშაოების განმახორციელებლების (დაქირავებულ სამუშაო ძალის ტერიტორიაზე) ყოფნასთან დაკავშირებით, სექსუალურად გადამცემი დაავადებების რისკის შესახებ და ჩართეთ ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები, ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებულ აქტივობებში; (d) აცნობეთ მოსახლეობას მშენებლობის და სამუშაოების გრაფიკების შესახებ, ასევე სერვისების შეწყვეტის, შემოვლითი მარშრუტების, ავტობუსების დროებითი მარშრუტების და აფეთქებისა და ნგრევის შესახებ, საჭიროებისამებრ;

		(e) სამშენებლო საქმიანობა შეზღუდეთ ღამით. აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყავით ღამის სამუშაოების ფრთხილად დაგეგმვა და მოსახლეობის სათანადო ინფორმირება, რათა მათ შეძლონ ყველა საჭირო ზომის მიღება; (f) მოსახლეობის მინიმუმ ხუთი დღით ადრე ინფორმირება, რომელიმე სერვისის (მათ შორის, წყლის, ელექტროენერგიის, ტელეფონის, ავტობუსის მარშრუტების) შეწყვეტამდე; მოსახლეობის გამაფრთხილებელი ნიშნები განთავსდება სამუშაო ტერიტორიაზე, ავტობუსის გაჩერებებზე და ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ სახლებზე/ბიზნეს ობიექტებზე; (g) დამკვეთის მიერ შექმნილი საჩივრების მოგვარების მექანიზმის საშუალებით წამოჭრილი პრობლემური საკითხების მოგვარება დროის განსაზღვრულ მონაკვეთში და კონტრაქტორის პასუხისმგებლობის ფარგლებში; (h) სამუშაო ბანაკები არ განათავსოთ ადგილობრივ მოსახლეობასთან უშუალო სიახლოვეს, რამდენადაც ეს იქნება შესაძლებელი; (i) სამუშაო ბანაკების განთავსება და ოპერირება განახორციელეთ მეზობელ მოსახლეობასთან კონსულტაციების საფუძველზე.
	სამუშაო რესურსების მართვა	(a) არა-კვალიფიცირებული, ან ნახევრად-კვალიფიცირებული მუშების დაქირავება მოხდეს ადგილობრივი მოსახლეობიდან, რამდენადაც ეს იქნება შესაძლებელი. ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის გაძლიერების მიზნით, ჩატარდეს მუშებისთვის შესაბამისი სწავლება (ტრენინგი), როდესაც და სადაც ასეთი ტრენინგის ჩატარება იქნება შესაძლებელი; (b) სამუშაო ტერიტორიაზე შესაბამისი სან. კვანძების ობიექტების (ტუალეტების და დასაბანი ადგილების) მოწყობა, ცხელი და ცივი წყლის, საპნის და ხელის საშრობი მოწყობილობების უზრუნველყოფით. ნებისმიერი სამუშაო ბანაკისთვის უნდა მოხდეს დროებითი სეპტიკური ავზის სისტემის მოწყობა, რამაც არ უნდა გამოიწვიოს მახლობლად მდებარე წყლის ნაკადების დაბინძურება; (c) მუშების ცნობიერების ამაღლება ადგილობრივ მოსახლეობასთან ზოგადი ურთიერთობის მართვის საკითხებზე, ქცევის კოდექსის შემუშავება საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად და აღნიშნული კოდექსის მკაცრად დაცვა, რაც მოიცავს მუშების (სამსახურიდან) გაშვებას და შესაბამისი მოცულობის ფინანსური ჯარიმების დაკისრებას; (d) ზედამხედველი ინჟინრის და დამკვეთის სასწრაფო ინფორმირება სამუშაოების წარმოების ადგილზე მომხდარი ნებისმიერი ინციდენტის შესახებ, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ან გარემოზე.

ნაწილი D: მონიტორინგის გეგმა

საქმიანობა	**რა** პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	**სად** ტარდება მონიტორინგი	**როგორ** უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	**როდის** რა სიხშირით/პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	**რატომ** ხდება პარამეტრის მონიტორინგი	**ვინ** არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
სამშენებლო ფაზა						
სამშენებლო მასალების მიწოდება	სამშენებლო მასალების შეძენა მხოლოდ ოფიციალურად დარეგისტრირებული მომწოდებლებისაგან	მომწოდებლის ოფისში, ან საწყობში	დოკუმენტების შემოწმება	მოწოდების კონტრაქტების გაფორმებისას	ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგრადობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება სამშენებლო მექანიზმების გადაადგილება	სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების სტანდარტული ტექნიკური მდგომარეობის უზრუნველყოფა;	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი ინსპექტირება როგორც სამუშაო, ასევე არა სამუშაო საათებში	მიწისა და ჰაერის ემისიებით დაბინძურების შეზღუდვა; ხმაურით და ვიბრაციით ადგილობრივი	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი, საგზაო პოლიცია

	სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების გადაზიდვა დახურული მანქანებით; ტრანსპორტირების დადგენილი საათებისა და მარშრუტების დაცვა				მოსახლეობის შეწუხების შეზღუდვა; ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევის მინიმუმამდე შემცირება.	
ბუნებრივი სამშენებლო მასალების წყარო	მასალების შეძენა არსებული, ლიცენზირებული მომწოდებლებისაგან, თუ ეს შესაძლებელია; სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღება კონტრაქტის საფუძველზე და ლიცენზიის პირობების მკაცრი დაცვა; კარიერების დატერასება, დამუშავებული ადგილების რეაბილიტაცია და ლანდშაფტთან ჰარმონიზება; მდინარეში ქვიშა-ხრეშის მოპოვება წყლის ნაკადის	კარიერები	დოკუმენტებისა და სამუშაოების ინსპექტირება	ინერტული მასალის მოპოვების პერიოდში	ქანობების ეროზიის და ეკოსისტემების და ლანდშაფტების დეგრადაციის შეზღუდვა; მდინარის ნაპირების ეროზიის, შეწონილი ნაწილაკებით წყლის დაბინძურების და წყლის ფლორის და ფაუნის დარღვევის შეზღუდვა	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

	გარეთ, დამცავი ბარიერების მოწყობა ექსკავაციის ადგილსა და წყლის ნაკადს შორის. დაუშვებელია მანქანების შესვლა წყლის ნაკადში.					
სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	სამშენებლო ნარჩენების დროებითი განთავსება სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში; ნარჩენების დროული განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ადგილებში.	სამშენებლო ტერიტორია; ნარჩენების განთავსების ტერიტორია	ინსპექტირება	პერიოდულად - მშენებლობის პროცესში და პრეტენზიების შემთხვევაში	სამშენებლო და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიების მყარი ნარჩენებისაგან დაბინძურების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა	აზბესტის შემცველი ნარჩენების სათანადო განთავსება (იზოლირება) და მარკირება, როგორც სახიფათო მასალა; აზბესტის შემცველი მასალის წყლით დასველება - შეპკურებით, აღნიშნული მასალის მართვის პროცესში; აზბესტის შემცველ მასალასთან მომუშავე	სამშენებლო ტერიტორიაზე	დოკუმენტების ინსპექტირება სამუშაოების ინსპექტირება	დემონტაჟის სამუშაოების წარმოებისას	ტოქსიკური მასალებით დაბინძურების პრევენცია, მუშების ჯანმრთელობის დაცვის მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

	პერსონალი აღჭურვილი უნდა იყოს სრული ეკიპირებით, დამცავი ნიღბებით და დამცავი სათვალეებით; უსაფრთხოების შესაბამისი ზომების მიღება, რათა არ მოხდეს აზბესტის შემცველი მასალის უნებართვო გატანა საპროექტო ტერიტორიიდან; მასალის სათანადო განთავსება და მონიშვნა - გარკვევით, როგორც სახიფათო მასალა; მოხსნილი აზბესტის შემცველი მილები დაუყონებლივ უნდა იქნას გატანილი უახლოეს ნაგავსაყრელზე - საზედამხედველო კომპანიის წარმომადგენლების ზედამხედველობის ქვეშ.					

ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევა და ფეხით მოსიარულეთა მიმოსვლის შეზღუდვა	სატრანსპორტო მოძრაობის შეზღუდვის/მოძრაობის მიმართულების შეცვლის ნიშნების განთავსება; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების დროებითი განთავსება ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული სატრანსპორტო საცობები მისასვლელ გზებზე.	სამშენებლო ტერიტორიაზე და სამშენებლო ტერიტორიის გარშემო	ინსპექტირება	სამშენებლო სამუშაოების პერიოდში	სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილება; ადგილობრივი მაცხოვრებლების შეწუხების შეზღუდვა;	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
მუშების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	მუშების ფორმებით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვა; სასმელი წყლის და ტუალეტების უზრუნველყოფა მამაკაცებისა და ქალებისთვის სამუშაო ტერიტორიაზე; მუშების და პერსონალის ინფორმირება მექანიზმებთან/აღჭურვილობასთან მუშაობისას ინდივიდუალური უსაფრთხოების წესების და ინსტრუქციების შესახებ და	სამშენებლო ობიექტი	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი შემოწმება სამუშაოების მსვლელობისას	საწარმოო უბედური და გაუთვალისწინებელი შემთხვევების მინიმუმამდე დაყვანა;	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

	ასევე აღნიშნული წესები/ინსტრუქციების მკაცრი დაცვა; კოვიდ-19-ის ინფექციის გავრცელების პრევენციის გეგმის დამტკიცება და დაცვა და სამოქმედო რეაგირება, ინფექციის შესაძლო გავრცელების შემთხვევაში.					
სამუშაოების წარმოება დასახლებაში	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობის ინფორმირება მომავალი სამუშაოების და მუნიციპალური სერვისების მიწოდების დროებითი შეფერხების შესახებ, რამაც შესაძლოა იჩინოს თავი სამუშაოების წარმოების პროცესში; დღის განმავლობაში განსაზღვრული სამუშაო საათების დაცვა, ხმაურის და მტვრის ემისიების მინიმუმამდე დაყვანა, სამშენებლო	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	პერიოდულად	ადგილობრივი მაცხოვრებლების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და შეწუხების მინიმუმამდე შემცირება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

	სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების მოძრაობის სიჩქარის შეზღუდვა; სარეაბილიტაციო გზის გასწვრივ არსებულ სახლებთან და ბიზნეს ობიექტებთან ფეხით მოსიარულეთათვის უსაფრთხო მისასვლელის უზრუნველყოფა და ადამიანების/ცხოველების ამოთხრილ ორმოებში, თხრილებში და ღრმულებში შემთხვევითი ჩავარდნისაგან დაცვა; გზის გასწვრივ არსებული ღობეების და სხვა კერძო საკუთრების დაზიანების პრევენცია და დაუყოვნებლივი აღდგენა, დაზიანების შემთხვევაში.					
საოპერაციო (ექსპლოატაციის) ფაზა						
რეაბილიტირებული გზის მოვლა-პატრონობა	შესაბამისი საგზაო ნიშნების მოვლა-პატრონობა, სატრანსპორტო მოძრაობის	გზის რეაბილიტირებული მონაკვეთები	ინსპექტირება	მოვლა-პატრონობის პროცესში	საგზაო შემთხვევების და სატრანსპორტო	სიღნაღის მუნიციპალიტეტი

	უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით; შეკეთების პროცესში საგზაო მონაკვეთების დემარკაცია; ასფალტის და/ან სხვა ნარჩენების გატანა მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ტერიტორიიდან გამოყოფილ ნაგავსაყრელზე.				მოძრაობის დარღვევის თავიდან აცილება	

დანართი 1. ქვე-პროექტის არსებული მდგომარეობის ამსახველი რამდენიმე ფოტო



დანართი 2. ქვე-პროექტის ნახაზები


S
W
E
N
ᲡᲐᲛ
ᲡᲐᲛ
ᲡᲐᲛ

PK0+0.00
PK0+20.00
PK0+40.00
PK0+60.00
PK0+80.00
PK1+0.00
PK1+20.00
PK1+40.00
PK1+60.00
PK1+80.00
PK2+0.00
PK2+20.00
PK2+40.00
PK2+60.00
PK2+80.00
PK3+0.00
PK3+20.00
PK3+40.00
PK3+60.00
PK2+10 საავტომობილო გზაჯვარედინი
ძ-53080 ბიდგი, L - 10 მ



დასახელება: ქალაქ სოფლის მუნიციპალიტეტის მერია მერიასთან "შპს მ-ინიუმი"	**ობიექტის დასახელება:** სოფლის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზემო ბოლოკანში ცენტრალური საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	"შპს მ-ინიუმი"-ს დირექტორი: ზაზა შიშინაური პროექტის ხელმძღვანელი: თამაზ მოღელაური ინ. ბიბლიოგრაფი: თამაზ ოზაგანიშვილი მმართველი: თამაზ მოღელაური	ნახაზის დასახელება: გზის სიტუაციური გეგმა ნახაზის № 2-5 | მასშტაბი: 1:1000 ნახაზის ოფიციალური ზომა **A3 (420X297)**



	დაპროექტებულია: ქალაქ სოფლიურის მუნიციპალიტეტის მერია	ტოპოგრაფიის დასახელება: სოფლიურის მუნიციპალიტეტის, სოფელ ზემო და ქვემო პოდგორეულის დასახლებებისა და ცენტრალურიგზა სეფუის საავტომობილო საგზაო მოდელი	"შპს მ-პროექტი" დირექტორი: ზაზა შიუნიანიშვილი	ნახაზის დასახელება: სიტუაციური გეგმა
	პროექტის: "შპს მ-პროექტი"		ინჟინერი ხელმძღვანელი: ოლია ბუაჩიძე	
			კონ. მე0. ინჟინერი: ოლია ოჩაბელიშვილი	ნახაზის № 2-3 / მასშტაბი: 1:1000
			შემხრეშელი: ოლია ბუაჩიძე	ნახაზის ოთხმანალური ზომა A3 (420X297)

დანართი 3. ქვე-პროექტის სიტუაციური გეგმა




N
დასაწყისი
ინტერნატის უბანი
დასასრული
საპროექტო მონაკვეთი -
არსებული გზა -

N
დასაწყისი
საპროექტო მონაკვეთი
საპროექტო მონაკვეთი -
არსებული გზა -
დასასრული


N
W
E
S
დასაწყისი
საპროექტო მონაკვეთი
საპროექტო მონაკვეთი -
არსებული გზა -
დასასრული